25/11/2026

MES 9 26 0001711277

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ხერხემის კერძო სკოლა:
ბელა კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა:
ქეთევან მიქანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა:
მაია ღლიღვაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა:
ავთანდილ კეჭაყმაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლა:
თამარი მაისურაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლა:
ინეზა ბოკუჩავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლა:
ნანა ბურჯალიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლა:
კატო კერესელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი:
კობა რუხაძე - სასწავლო დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი
სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა:
ალექსანდრე შარაშიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 10 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდა შპს „ხერხემის სკოლის“ ავტორიზაციის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული ექსპერტი (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე) და აცნობა, რომ მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოების გამო ვერ შეძლებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტმა ითხოვა საკითხის განხილვის გადადება, რათა უზრუნველყოფილიყო მისი მონაწილეობა საკითხის განხილვის პროცესში და საბჭოსთვის შესაბამისი განმარტებებისა და პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა.

საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 06 ოქტომბერს N 1286085 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
სკოლის წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

ხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 14 : 42
დასრულების დრო 14 : 47

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

2. სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 01 აგვისტოს N 932465 ოქმის მე-17 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის ივლისში ლიფტისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან მიქანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია დადგენილ ვადაში წარმოადგინა. ამასთან, წარმოადგინა ლიფტთან დაკავშირებით გამგეობასა და სამინისტროში გაგზავნილი წერილები თავისი პასუხებით. დამატებით აღნიშნა, რომ ლიფტის მოწყობის სამუშაოები დაგეგმილი იყო. ასევე დირექტორმა დასძინა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა სამომავლო რეკომენდაციების შესასრულებლად. ამასთან, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, სკოლას შესაბამისი წერილობითი მიმართვები ჰქონდა გაგზავნილი უფლებამოსილ უწყებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 14 : 52
დასრულების დრო 14 : 59

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ლიფტის მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

3. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 29 აგვისტოს N 1030260 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სკოლამ ცენტრში ვერ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები.

სკოლის წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 15 : 06
დასრულების დრო 15 : 16

საბჭომ შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ინკლუზიური გარემოს მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის აგვისტოში 1.2 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ექსპლუატაციის უსაფრთხოების დოკუმენტაციისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია ღლიღვაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლამ 3.4 კომპონენტით განსაზღვრული მდგრადობის დასკვნის მოსაპოვებლად, ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან, თუმცა შენობის შეფასება ჯერ იყო განხორციელებული. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მან არაერთხელ სცადა ბიუროსთან დაკავშირება, როგორც სატელეფონო ზარებით, ისე წერილობითი მიმართვებით, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორმა განმარტა, რომ სამომავლოდ ბიუროში პირადად მისვლას გეგმავდა, რათა საკითხის გადაწყვეტას ხელი შეწყობოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 15 : 23
დასრულების დრო 15 : 30

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

5. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 10 ოქტომბრის N 1307186 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნისა და შენობის შესასვლელის პანდუსით უზრუნველყოფისა და სართულებზე გადასაადგილებლად პანდუსების ან ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ლიფტის მოწყობისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას განსაზღვრული ჰქონდა ორი ძირითადი რეკომენდაცია: პირველი შეეხებოდა შენობის მდგრადობის დასკვნის წარმოდგენას, რაც სკოლამ დადგენილ ვადებში სრულად უზრუნველყო, ხოლო მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა შენობის ადაპტირებას. ამ მიმართულებით, დაწესებულების შესასვლელში სკოლამ საკუთარი ძალებით მოაწყო პანდუსი, თუმცა სართულებს შორის გადაადგილებისთვის ლიფტის მოწყობის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა სკოლის ფინანსურ შესაძლებლობებს და მისი განხორციელება, დაწესებულების განცხადებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ ოფიციალურად მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიას, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 15 : 36
დასრულების დრო 15 : 43

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ლიფტის მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 04 ოქტომბრის N 1273115 ოქმის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანის, მაღალი ძაბვის კონსტრუქციის უსაფრთხო ადგილას გადატანის, სარწყავი არხის დახურვის, სკოლის რეაბილიტაციისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა მაღალი ძაბვის კონსტრუქციის სკოლის ეზოს ტერიტორიიდან გატანისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, თამარ მაისურაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ უზრუნველყო სართულებს შორის გადასაადგილებელი პანდუსის მოწყობა, რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც გადაგზავნილი იყო ცენტრში, აგრეთვე სრულად დაიხურა და მოწესრიგდა სკოლის ეზოში არსებული თხრილი. სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მოქმედმა ექთანმა პირველ ეტაპზე გაიარა ტრენინგი, მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი და პარალელურად სწავლას აგრძელებდა კოლეჯ „კავკასიონში“, რომელსაც დაასრულებდა 2027 წლის ოქტომბერში. ვინაიდან საშტატო განრიგით სკოლაში დამტკიცებული იყო ექთნის პოზიცია, ექიმის ვაკანსია აღარ გამოცხადებულა. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საუბრისას დირექტორმა აღნიშნა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა სკოლის შიდა რეაბილიტაცია. კერძოდ, მეორე სართული სრულად მოწესრიგდა, პირველ სართულზე სრულდებოდა სამუშაოები, შიდა კოსმეტიკური რემონტი დასრულდებოდა დეკემბრის თვეში, რის შემდეგაც დაიწყებოდა გარე ფასადის მოწესრიგება. რაც შეეხებოდა ეზოში განთავსებულ მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორს, მის გადატანასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში შეტანილი იყო განაცხადი მიწის გამიჯვნის თაობაზე, რასაც მოჰყვებოდა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასება და გაცვლის პროცედურა, ხოლო ამჟამად ობიექტი იყო შემოღობილი, დამატებით გამაფრთხილებელი ნიშნებით და ამასთანავე მიმდინარეობდა პედაგოგთა მუდმივი მორიგეობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 15 : 47
დასრულების დრო 15 : 53

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (მაღალი ძაბვის კონსტრუქციის სკოლის ეზოს ტერიტორიიდან გატანა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

7. სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 21 ნოემბრის N 1505510 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის ნოემბერში 3.1, 3.4, 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და სექსუალური ძალადობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შენობის მეორე ფლიგელში განთავსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ლიფტის მოწყობის მტკიცებულებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ინეზა ბოკუჩავამ, აღნიშნა, რომ სკოლის ყველა თანამშრომელზე მოპოვებული და წარმოდგენილი იყო ნასამართლეობის შესახებ ცნობები. სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მძიმე მდგომარეობაში არსებული იატაკი

სრულად რეაბილიტირდა. რაც შეეხებოდა, ლიფტის მოწყობის საკითხს, სკოლამ არაერთხელ მიმართა ოფიციალური წერილებით შესაბამის უწყებებსა და ადგილობრივ მერიას. მერიის მიერ ამ ეტაპზე პრიორიტეტი მიენიჭა მძიმე მდგომარეობაში არსებულ სახურავის შეკეთებას და შენობა სრულად გადაიხურა, ხოლო სახანძრო უსაფრთხოებასა და ლიფტის დამონტაჟებაზე სკოლას ეცნობა, რომ აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებული იქნებოდა მომდევნო ეტაპზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 16 : 03
დასრულების დრო 16 : 11

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით (ლიფტის მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2028 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

8. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 10 დეკემბრის N 1590765 ოქმის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ნოემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნანა ბურჯალიანმა, აღნიშნა, სკოლას ჰქონდა წარმოსადგენი მდგრადობის დოკუმენტი, რაც სკოლამ სრულად წარმოადგინა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 16 : 17
დასრულების დრო 16 : 23

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

9. სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 06 ოქტომბრის N 1286085 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის

სექტემბერში 3.4 და 3.5 ინდიკატორებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის მოწყობის დოკუმენტების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, კატო კერესელიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და დაადასტურა ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟება. რაც შეეხებოდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, დირექტორმა აღნიშნა, რომ მოწვეულმა სპეციალისტებმა შეამოწმეს ობიექტი და გასცეს გარკვეული რეკომენდაციები, რომლებსაც შეასრულებდა სისტემის დამონტაჟებაზე პასუხისმგებელი კომპანია. მანვე დასძინა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება განსაზღვრული იყო 2027 წლისთვის და მითითებულ ვადამდე სრულად იქნებოდა გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 16 : 29
დასრულების დრო 16 : 36

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

10. სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 05 აგვისტოს N 1015279 ოქმის მე-7 და მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში თანამშრომელთა დასაქმებისა და პირადი საქმეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, პედაგოგებისა და საშტატო განრიგით განსაზღვრული პერსონალის დასაქმების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და ექიმის დასაქმების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, შენობის ავეჯითა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის, ბიბლიოთეკის, ადაპტირებული გარემოს მოწყობის, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართვისა და მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლა-ლიცეუმმა ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა შემდეგი რეკომენდაციებისა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მოწყობა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადასტურება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა ლიცეუმის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სასწავლო დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, კობა რუხაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 11 რეკომენდაცია, რომელთა უმეტესობა სრულად შესრულდა და შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გადაიგზავნა ცენტრში. დარჩენილ საკითხებზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილი ორგანოს, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა მოპოვებული იყო და გასულ პარასკევს წარედგინა ცენტრს. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის ნაწილში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, შენობაში უნდა დამონტაჟებულიყო ცეცხლგამძლე კარები და ტიხრები, რაზეც დაწყებული იყო ბაზრის კვლევა. ამასთანავე, 3-სართულიანი შენობის პირველ სართულზე მოწყობილი იყო პანდუსი, ხოლო მე-2 და მე-3 სართულების ადაპტირებისთვის ასევე მიმდინარეობდა ბაზრის კვლევა. ამ ეტაპზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში განთავსებული იყო ავეჯი, ხოლო აპარატურის შესასყიდად გამოცხადებული იყო ტენდერი, რომლის დასრულებისთანავე მოხდებოდა ტექნიკის შეძენა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 16 : 42
დასრულების დრო 16 : 51

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა, საგანგებო სიტუაციების მართვა და ადაპტირებული გარემო) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

11. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 06 ოქტომბრის N 1286085 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის ოქტომბერში, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილებით გათვალისწინებული ცნობების, 2026 წლის სექტემბერში ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სამედიცინო კაბინეტის, ბიბლიოთეკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მტკიცებულებებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ალექსანდრე შარაშიძემ, აღნიშნა, რომ შენობის მდგრადობის შესახებ შესაბამისი დასკვნა უკვე წარმოდგენილი იყო ცენტრში. სამედიცინო კაბინეტი სრულად აღიჭურვა შირმით. ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის ელექტრონულ სისტემაში აღრიცხვის პროცესი უმეტესწილად შესრულებული იყო და ამ პერიოდისთვისაც

აქტიურად მიმდინარეობდა. საბუნებისმეტყველო კაბინეტი მოწყობილი იყო, ხოლო საჭირო აღჭურვილობის შესაძენად გაკეთებული იყო ოფიციალური განაცხადი და სკოლა ელოდებოდა მის მიღებას. მან განმარტა, რომ ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული იყო კონკურსი, თუმცა აპლიკანტების არარსებობის გამო, აღნიშნულ 4-საათიან დატვირთვას დროებით, მოწვეული პედაგოგის სტატუსით, ითავსებდა მასწავლებელი, რომელსაც ჯერ არ გააჩნდა შესაბამისი სტატუსი ტექნოლოგიებში. ამასთანავე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ გამოცემული იყო შესაბამისი ბრძანება. აღნიშნულ თანამშრომელს გავლილი ჰქონდა ტრენინგები და გააჩნდა დამადასტურებელი სერტიფიკატი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 16 : 53
დასრულების დრო 16 : 59

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა, ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ნოემბერში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17: 00 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე